დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 3

ქ. დმანისი

31 მარტი 2026 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. სოფიო ასლამაზაშვილი
6. ლერი ბერუაშვილი
7. მურაზი აბრამიშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. ილია სარსევანიძე
11. ემზარი პეტრიაშვილი
12. ნოდარი ადუაშვილი
13. დავით დაუთაშვილი
14. გიორგი გურჩიანი
15. ნატიგ ოვჩიევი
16. სტამბულ ისაევი
17. ქამრან მამედოვი
18. მიხეილ დაუთაშვილი
19. შალვა ღამბარაშვილი
20. შოთა აკობაშვილი
21. გამლეტ ისმაილოვი
22. ემილ იბრაგიმოვი
23. თეიმურაზ მენაბდიშვილი
24. ირაკლი მუჯირიშვილი
25. აიდინ შარიფოვი
26. შაქირ ჩერპანოვი
27. ლომა გადრანი
28. ლია კავლელაშვილი
29. გოჩა გოჩაძე
30. ვაგიფ მუსაევი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი გიორგი ტატუაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 30

საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
2	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**
3	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**
4	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**
5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების შესახებ
მომხსენებელი:	**გ.ტატუაშვილი**

6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ,,სქაიტელისათვის'' (გარე განათების ბოძების ნაწილი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

7	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,აგრო ფირმა გრინ ველს" შორის 2017 წლის 19 ივნისს დადებული ,,იჯარის ხელშეკრულება N7-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

8	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და აკიფ სულეიმანოვს შორის 2017 წლის 23 აგვისტოს დადებული ,,იჯარის ხელშეკრულება N47-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

9	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელშად მურადოვს შორის 2016 წლის 20 ოქტომბერს დადებული ,,აღნაგობის ხელშეკრულება N2-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

10	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და თამრიკო დალაქიშვილს შორის 2017 წლის 26 ივლისს დადებული ,,იჯარის ხელშეკრულება N33-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

11	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**

12	დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის, პაატა ყულიაშვილის 2025 საანგარიშო წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

მომხსენებელი:	**პ.ყულიაშვილი**

1. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის #1207 „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ განკარგულების ნაშთი **21,1** ათასი ლარის ოდენობით აისახოს „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი **01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეების მონაწილეობის მხარდაჭერა“-ს** „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში, და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 118,1 ათასი ლარისა განისაზღვროს 139,2 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 11 მარტის #519 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა **352,2** ათასი ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღჭურვის მიზნით. აღნიშნული თანხა აისახოს „შემოსულობები“-ს „გრანტი“-ს კოდში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი **01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს** შემდეგ მუხლებში:

- „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში **306,2** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 306,2 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
- „არაფინანსურ აქტივების ზრდა“-ს მუხლში **46,0** ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 46,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2026 წლის 26 თებერვლის Nგ-109260578 განკარგულების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხების გადანაწილების შესახებ“ საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი **02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს** „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან ამავე კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში გადატანილ იქნეს **50,0** ათასი ლარი და აღნიშნული კოდი ნაცვლად 10,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 60,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

ა(ა)იპ „დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“-ს 2026 წლის 20 მარტის #33-1082607963 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი **04_01_01 ა(ა)იპ „დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“-ს** „სუბსიდიები“-ს მუხლიდან ამავე კოდის „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს თანხა **4,1** ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 7,4 ათასი ლარისა განისაზღვროს 11,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **37 013,9** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 30

წინაღმდეგი: არცერთი

2. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ ,,სოციალური მომსახურების სააგენტომ" 2025 წლის 23 სექტემბრის SSA 1 25 01066611 წერილით მომართა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ამონაწერითა და ცნობით განსაზღვრული ინფორმაცია მემორანდუმის ფარგლებში ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტისთვის 0 - დან 100 000 - ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მონაცემები. მოქალაქეთა ინტერესების დაცვის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მოქალაქის მიერ რომელსაც აქვს 0 - დან 100 000 - ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, არ საჭიროებდეს ცნობის/ამონაწერის მატერიალურად წარდგენას და ამ პირობის უზრუნველყოფის მიზნით, პირის სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დამუშავდეს მემორანდუმით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსების საშუალებით.

საყურადღებოა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დადასტურებულია შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტში წარდგენის მიზნით, მუნიციპალიტეტისავე მოთხოვნის საფუძველზე, დაინტერესებული პირი სააგენტოს მომართავს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრაციის ან სარეიტინგო ქულის თაობაზე ცნობის/ამონაწერს გაცემის მოთხოვნით და ვინაიდან, მოთხოვნის დაკმაყოფილება საჭიროებს ვიზიტს სააგენტოს სერვისცენტრში და სხვა თანმხლებ ღონისძიებებს დაინტერესებულ პირებში იწვევს უკმაყოფილებას პროგრამის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

ამდენად, სოციალური პროგრამების ადმინისტრირების პროცესში, შესაბამის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დადგენილი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებით დაინტერესებულ პირთა მომსახურების ეფექტიანობის (დროულობა და სიზუსტე) ხელშეწყობისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა აღარ მსთხოვოს მოქალაქეს პირის სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და აღნიშნული დამუშავდეს მემორანდუმით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსების საშუალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ცვლილება შევიდეს ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტში, რომელიც ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მხოლოდ ის ოჯახები წარადგენენ ამონაწერს სოციალურად

დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-ზე მეტი და 150000-ზე ნაკლები, ვინაიდან მუნიციპალიტეტს მემორანდუმის ფარგლებში წვდომა აქვს მხოლოდ 0-დან 100 000 სარეიტინგო ქულის მონაცემებზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 30

წინაღმდეგი: არცერთი

3. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ცვლილება შევიდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №13 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლს დაემატოს პუნქტები, რომლის მიხედვითაც დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დააფინანსოს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ხარჯები, როდესაც საფრთხე ექმნება დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებას ან საქართველოს კანონმდებლობით დაცულ სხვა სიკეთეს. ასევე, დააფინანსოს სახელმწიფო ან ადგილობრივი ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამებით გაუთვალისწინებელი ან/და პროგრამით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემდეგ მძიმე ან/და გადაუდებელი შემთხვევები.

ცვლილების მიზანია ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამის არ არსებობის ან პროგრამიდან თანხის ამოწურვის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ჰქონდეს საშუალება მოსახლეობის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პროექტით მიხედვით ამოღებულ იქნეს წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ზღუდავს მუნიციპალიტეტს დააფინანსოს მაგალითისთვის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირები ან შესაბამის პროგრამის თანხის ამოწურვის შემდეგ დაფინანსება განხორციელდეს სარეზერვო ფონდიდან.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 30

წინაღმდეგი: არცერთი

4. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253582 განკარგულებაში და განკარგულების „რ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ,,ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06)“ დანართი N17 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. კერძოდ, მე-4 მუხლის მეხუთე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში, სოფელი იაღუფლოსა და სოფელი დალარის მიმართულებით დღეში 1 რეისის ნაცვლად დაინიშნოს 2 რეისი.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: მურაზი აბრამიშვილი, სოფიო ასლამაზაშვილი, ოლეგი გოშუანი

5. მომხსენებელმა: გიორგი ტატუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების შესახებ

ცნობად იქნეს მიღებული დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში:

2024 წლის 17 ნოემბრის N:ბ108.1082432419 ბრძანებით დამტკიცებული, 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის და მასში 2025 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა 13396211 (ცამეტი მილიონ სამას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ორას თერთმეტი) ლარის შესყიდვა.

ელექტრონული ტენდერი:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდეგ: eProcurement სისტემა) მეშვეობით, 2025 წელს 91 ღია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.

აქედან ტენდერების 100% განეკუთვნება NAT ტიპის ტენდერებს

- დასრულებულია უარყოფითი შედეგით 8 ელექტრონული ტენდერი
- არ შედგა 5 ელექტრონული ტენდერი;
- 78 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდა და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 10798919 (ათი მილიონ შვიდას ოთხმოცდათვრამეტი ათას ცხრაას ცხრამეტი) ლარს.

2025 წელს ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვების სატენდერო ეკონომიამ შეადგინა 1334127 ლარი.

გამარტივებული შესყიდვა:

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სხვადასხვა სახის საქონლის, მომსახურების სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების 183 შესყიდვა განხორციელდა, საერთო ღირებულებით 1732473 (მილიონ შვიდას ოცდათორმეტი ათას ოთხას სამოცდაცამეტი) ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვა:

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დმანისის მერიის მიერ 2025 წელს განხორციელდა 31 შესყიდვა საერთო ღირებულებით 864819 (რვაას სამოცდაოთხი ათას რვაას ცხრამეტი) ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების 80,61% განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 12,93%

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხოლო 6,46% განხორციელდა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 30

წინაღმდეგი: არცერთი

6. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ,,სქაიტელისათვის'' (გარე განათების ბოძების ნაწილი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს შპს ,,სქაიტელი''-ს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დმანისის მუნიციპალიტეტში მდებარე გარე განათების 339 (სამასოცდაცხრამეტი) ერთეული გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენზე (ბოძი) წერტილი, მიწის ზედა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის მოწყობის მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, საიჯარო ღირებულებით 1695 (ათასექვსასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა აღნიშნა, რომ შპს „სქაიტელი" საჭიროებს მომსახურების პირობების გაუმჯობესებას

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 30

წინაღმდეგი: არცერთი

7. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,აგრო ფირმა გრინ ველს" შორის 2017 წლის 19 ივნისს დადებული ,,იჯარის ხელშეკრულება N7-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისი მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო ფირმა გრინ ველს" (ს/კ 406182946) შორის 2017 წლის 19 ივნისს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N7"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა გაიზარდოს და წელიწადში განისაზღვროს 7000 (შვიდიათასი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 30

წინაღმდეგი: არცერთი

8. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და აკიფ სულეიმანოვს შორის 2017 წლის 23 აგვისტოს დადებული ,,იჯარის ხელშეკრულება N47-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და აკიფ სულეიმანოვს (პ/ნ 15601028886) შორის 2017 წლის 23 აგვისტოს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N47"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა გაიზარდოს და წელიწადში განისაზღვროს სულ 318 (სამასთვრამეტი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 30

წინააღმდეგი: არცერთი

9. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელშად მურადოვს შორის 2016 წლის 20 ოქტომბერს დადებული ,,აღნაგობის ხელშეკრულება N2-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელშად მურადოვს (პ/ნ 15001008372) შორის 2016 წლის 20 ოქტომბერს დადებულ „აღნაგობის ხელშეკრულება N2"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, ,,აღნაგობის უფლების მქონე პირის" მიერ ქონებით სარგებობისათვის წლიური გადასახდელი გაიზარდოს და განისაზღვროს 4231 (ოთხიათასორასოცდათერთმეტი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 30

წინააღმდეგი: არცერთი

10. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და თამრიკო დალაქიშვილს შორის 2017 წლის 26 ივლისს დადებული ,,იჯარის ხელშეკრულება N33-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა, დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისი მუნიციპალიტეტის მერიასა და მოქალაქე თამრიკო დალაქიშვილს (პ/ნ 10002000199) შორის 2017 წლის 26 ივლისს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N33"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა გაიზარდოს და წელიწადში განისაზღვროს სულ 150 (ასორმოცდაათი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 30

წინააღმდეგი: არცერთი

11. მომხსენებელმა: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

პუნქტი 3 „სოფ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცი"-ის ტენდერის დასრულების შემდგომ დარჩა ეკონომია 31550 ლარი.

პუნქტი 4 „სოფ განთიადის საბავშო ბაღის სახურავის რეაბილიტაცი"-ის ტენდერის დასრულების შემდგომ დარჩა ეკონომია 27866 ლარი.

პუნქტი 5 „სოფ გომარეთის საბავშო ბაღის სახურავის რეაბილიტაცი"-ის ტენდერის დასრულების შემდგომ დარჩა ეკონომია 25584 ლარი.

პუნქტი 11 „2025 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება“ შემცირდა 155000 ლარით, ქ. დმანისის ვახტანგ გოტგასლის ქუჩის თანადაფინანსება შემცირდა.

ზეოდ აღნიშნილი თანხები ჯამურად შეადგენს 240000 ლარს და გადანაწილდეს შემდეგ სამუშაოებზე

15	სოფ ირგანჩაის საბავშო ბაღთან წყლის მიყვანა	წყლები	50,000.00	
16	სოფ ამამლო, ირგანჩაის საბავშო ბაღებისთვის და სოფ ქვემო კარაბულახში ბუსტერული ძრავებისთვის გენერატორების შეძენა	სხვა	60,000.00	
17	სოფ მთისძირში სტადიონის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	130,000.00	

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 30

წინაღმდეგი: არცერთი

12. მომხსენებელმა: პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის, პაატა ყულიაშვილის 2025 საანგარიშო წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

მომხსენებელმა ისაუბრა 2025 წელს, როგორც საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს კომისიების წევრის მიერ განხორციელებული სამუშაოს შესახებ (ანგარიში თან ერთვის დანართის სახით).

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს:

მომხრე:

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის, პაატა ყულიაშვილის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2025 წლის ანგარიში ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ, დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან ვარ საკრებულოს წევრი პროპორციული სიით, მიკავია საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა, ასევე ვარ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" წევრი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის და საფინანსო საბიუჯეტო კომისის წევრი.; ვასრულებ კანონმდებლობით მონიჭებულ უფლება-მოვალეობებს, აქტიურად ვესწრები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებს და სამუშაო შეხვედრებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა:

- 14 საკრებულოს სხდომა
- 13 ბიუროს სხდომა
- განხილული იქნა 137 საკითხი.
- უმრავლესობის სხდომა -2 (2025 წლის 08 დეკემბერი, 22 დეკემბერს) განხილული იქნა ჯამში 16 საკითხი.
- როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრმა მონაწილეობა მივიღე კომისიების ყველა სხდომაში, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა - 23 კომისიის სხდომა, სადაც განხილული იქნა - 58 საკითხი.
- ჩემი როგორც კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, 2025 წელს გაიმართა დმანისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს პირველი სხდომა, სადაც მოხდა დმანისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება განხილვა და დამტკიცება.

ინფორმაცია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ

კოორდინაცია მაქვს დმანისის მუნიციპალიტეტის მერთან, მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, მათი საქმიანობის სფეროს საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის კონსულტაციის გაწევის და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების მიზნით.

აქტიურობა მოსახლეობასთან შეხვედრების კუთხით

დმანისის მუნიციპალიტეტის მერთან და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან, ილია ჯალაღანიასთან ერთად, შვხვდი მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლების გომარეთისა და ზემო კარაბულახის მოსახლეობას.

სადაც მოსახლეობისგან მივიღეთ ინფორმაცია სოფლებში არსებული საჭიროებებზე.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განვახორციელე შეხვედრები დმანისის მუციპალიტეტის 57 სოფელში, სადაც მოსახლეობასთან ერთად ვიმსჯელეთ სოფლისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე. მოსახლეობის ძირითადი პრიორიტეტებს წარმოადგენდა გარე განათების, საგზაო ინფრასტრუქტურის და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი იქნა 686000 ლარი. ამავე შეხვედრებმა მოგვცა იმ დროისათვის მოსახლეობაბაში არსებული გამოწვევების სრული სურათი, რაც შემდგომ აქტიურად გამოვიყენეთ პრიორიტეტების დაგეგმვისას, ძირითად პრიორიტეტებად კი გამოიკვეთა- გზების მოხრეშვა, გარე განათებების მოწყობა, სასმელი წყალი და მინი სტადიონების მოწყობა.

გარე განათება

19 სოფელში განხორციელდა და მიმდინარეობს გარე განათების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროექტები (კამარლო, მაშავერა, დაგარახლო, უკანგორი, ტნუსი, ქვემო კარაბულახი, კიზილაჯლო, ტყისპირი, ზემო ოროზმანი, ირგანჩაი, ამამლო, საფარლო, გომარეთი, კალიანი (ქართული), მამულო, გუგუთი, შინდლარი, ახა)

გზები

13 სოფელში განხორციელდა და მიმდინარეობს გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (განთიადი, ძველი გოდაგდაგი, ქცია, ქარიანი, მამიშლარი, იაღუფლო, ანგრევანი, დაგარახლო, ორმაშენი, კამიშლო, საკირე, გორა, კამარლო)

სხვა

24 სოფელში განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სამუშაოები (ჯავახი, სოგუთლო, მამიშლარი, ახა, ქვემო კარაბულახი, ზემო კარაბულახი, დალარი, მთისძირი, ქვემო ოროზმანი, შინდლარი, გომარეთი, მამულო, აზკაკლიანი, სარკინეთი, ველისპირი, იფნარი, საჯა, ბახჩალარი, გუგუთი, ლოქჭანდარი, დიდი დმანისი, პატარა დმანისი, ვარდისუბანი, ბოსლები, მაშავერა-უკანგორა, ქარიანი)

ამის გარდა საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით ყოველდღიურად განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შევხვდი და მოვუსმინე 270 მოქალაქეს, რომელთაც მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის სოციალური, საბინაო, ყოფითი პირობების გაუმჯობესების თაობაზე, აგრეთვე ჯანდაცვის, დასაქმების, ინფრასტრუქტურულ და სხვ. თემებზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები

- **წყლები**

➢დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთის ჭაბურღილის მოწყობა.

➢სოფელ ქვემო კარაბულახის არსებული სასმელ წყლის სატუმბი სადგურის შენობაში სოფელ კიზლაჯლოსთვის და ქვემო კარაბულახისთვის ბუსტერული ძრავების მოწყობა.

- **გარე განათება**

➢დმანისის სიონის (ნაქალაქარი) მისასვლელი გზის, ტაძრის და ციტადელის განათების მოწყობის სამუშაო.

- **შენობა-ნაგებობა**

➢ქ. დმანისში #1 საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები.

➢სოფელ ზემო კარაბულახში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაო.

➢ქ. დმანისში წმ. ნინოს ქ. N56-ში მდებარე კულტურის სახლში სარემონტო სამუშაოები და ელექტროობის სამონტაჟო სამუშაოების მოწყობა (დაბალი ძაბვა და სახანძრო სიგნალიზაცია).

➢ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ.#56-ში სპორტული დარბაზის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები.

➢ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩაზე არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები სპორტსკოლისათვის.

➢მერიის შენობის მთავარი გამანაწილებელი ფარის სქემატური პროექტი და დამიწების მოწყობა.

➢ქ.დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე სარიტუალო დარბაზის შენობის ელექტრონული ხაზის გაყვანილობა.

➢წმ.ნინოს ქუჩა N30-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.

➢ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩა N15-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გადახურვის სამუშაო.

➢სოფელ ჯავახში და კიზილაჯლოში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის, სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

➢სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

➢დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა.

➢დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

- **კეთილმოწყობა**

➢ქ. დმანისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს შემოღობვის და საპირფარეშოს მოწყობა.

➢სოფელ ქვემო ოროზმანში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა, ასევე გარე სივრცისთვის ტრენაჟორების მოწყობა.

➢სოფელ დაგარახლოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა.

➢დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში არსებული ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები.

➢დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდლარში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები

➢სოფელ კამარლოში მინი სტადიონის მშენებლობის სამუშაოები.

➢ქ. დმანისში, ოთხ ლოკაციაზე, გზის პირა მოსაცდელების რეაბილიტაცია და ქ. დმანისში თავისუფლების ხეივანი N2-ში მდებარე მხარდაჭერის სახლის ფარდულის მოწყობა.

➢ირგანჩაის საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვის სამუშაოები.

➢სოფელ განთიადში ორი მოსაცდელის სამშენებლო სამუშაოები.

- **სტიქია**

➢სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებით, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზაქლოში მილხიდის, სოფელ ოროზმანში საცალფეხო და სამანქანო

ხიდის, სოფელ ირგაჩაიში შიდა გზაზე საყრდენი კედლის და სოფელ ლოქჭანდარში გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოები.

➢სოფელ მაშავერაში საბავშვო ბაღის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოს შესყიდვა.

- **გზები**

➢ქ. დმანისში ხერგიანის ქუჩის რეაბილიტაცია პროექტის ღირებულება.

➢ქ. დმანისში ჭუბერის ქუჩის რეაბილიტაცია.

➢ქ. დმანისში ცურტაველის ქუჩის რეაბილიტაცია.

➢ქ. დმანისში გამსახურდიას ქუჩის რეაბილიტაცია.

➢ქ. დმანისში აღმაშენებლის ქუჩის მოასფალტების და ჭუბერის N3 ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაო.

➢ქ.დმანისში 26 მაისი ქუჩისა და გორგასლის ქუჩის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

➢ქ.დმანისში თავდადებულის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

➢სოფელ გუგუთში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.

➢ქ. დმანისში გოგებაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია.

➢9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია, მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა.

➢ქ. დმანისში ნანა დედოფლის ქუჩის რეაბილიტაცია.

➢დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. გომარეთში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები.

ანგრიშში მითითებული აქტივობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე dmanisi.gov.ge ასევე საკრებულოს ფეისბუქ გვერდზე -

https://www.facebook.com/profile.php?id=100080321093373

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგებს, საკრებულოს აპარატს, დმანისის ადგილობრივი თვითმმართველობის მთლიან გუნდს, საკრებულოს წევრებს, მერს, მერის მოადგილეებს, სამსახურის თანამშრომლებს და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კომერციულ თუ არაკომერციულ იურიდიული პირების თანამშრომლებს.

პატივისცემით,

დმანისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**